

ლია წერეთელი

„ბუნებით ღმერთი“ და „მაღლით ღმერთქმნილი“

„სადა იგი თ თ ბუნებით ღმერთი მეუფებს მაღლით ღმერთ-ქმნილთა ზედა, სადა-იგი აწ მკვიდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთეებისასა“.
(„ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი“)

დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ურთიერთდაპირისპირებული დრო-ჟამით ხაგავს – ამქვეყნიური, წარმავალი, წუთისოფლისეული და მარადიული, უკვლავი, სიკვდილის შემდგომი სამყოფი. მემაგინანე აგიოგრაფიული ხატწერის კანონიკით აღწერს მეფის გარდაცვალებას და სასუფეველში დამკვიდრებას. „მოუწოდა ღმერთმან შეყუარებულსა თ სსა“- „მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა“. ეს ეპიზოდი მდიდარია სახისმეტყველურად: ღმერთმა დავით მეფეს განხრწნადი გვირგვინი და პორფირი შეუცვალა „ნანდ ლ ჭეშმარიტთა და მტკიცეთა“, უხრწნელი გვირგვინითა და პორფირით (სამეფო შესამოსელი – ლ.წ.). მემაგინანე რწმენით აღსაქმელ რეალობას ხაგავს – განვლო მეფემ სიკვდილის კარიბჭე და დამკვიდრდა მარადიულ სასუფეველში. „სამსხემო კედარს შინა მკ დრობა“, ანუ ხორციელ სხეულში მყოფობა შეუცვალა ღმერთმა ალაგად „ნათელსა შინა ღმრთეებისასა“ მკვიდრობით. დავით აღმაშენებელი სასუფეველში დამკვიდრდა „სადა იგი თ თ ბუნებით ღმერთი მეუფებს მაღლით ღმერთ-ქმნილთა ზედა“- ეს არის ერთგვარი სახისმეტყველური ფორმულა, სარწმუნოებრივი კანონიკა და სიკვდილის შემდგომ წმინდანთა სასუფეველში მყოფობას გადმოსცემს. „სადა იგი თ თ ბუნებით ღმერთი მეუფებს“- აღნიშნავს მაცხოვარს. „ბუნებით ღმერთი“ მისი ხატმეტყველებაა - „ბუნებით ღმერთმა“, სამების ერთმა ჰიპოსტასმა - ძე ღმერთმა შეიმოსა კაცობრივი ბუნება, განკაცდა, ღვთისმშობლისგან იშვა, ჯვარს ეცვა და ივნო კაცობრივი ბუნებით, აღდგა ღვთაებრივი ბუნებით, ამალღა ზეცად... ხოლო ქრისტიანი ადამიანის, მართლმორწმუნის, წმინდანის ხატმეტყველებაა „მაღლით-ღმერთქმნილი“, რაც განღმრთობას აღნიშნავს. გარდაცვალების შემდგომ ქრისტეს შეერთვის ადამიანი და სასუფეველში მკვიდრდება – ასეთია სარწმუნოებრივი სწავლება, სასუფეველის საზრისი.

„ბუნებით უხილავი ღმერთი მოქმედებათა მიერ სახილველ იქმნების“ (1- 69).

„ორთა უკუე ბუნებათა აღვიარებთ: საღმრთოსა და კაცობრივსა, ურთიერთს შემოკრებულთა და გუამოვნებით შეერთებულთა“ (1-159).

მაცხოვრის კაცობრივ და ღვთაებრივ ბუნებას ლამარეს მკვლრებით აღდგომის სასწაული სრულად აცხადებს:

„ვერცა ცხოველყოფს ლამარეს კაცობრივი ბუნება, არცა ცრემლოს საღმრთო ხელმწიფებაი, რამეთუ ცრემლი კაცობრივისა ბუნებისათვის არს, ხოლო ცხორება გუამოვნისა მის ცხორებისა“ (1-195); ანუ ლამარეს მკვლრებით აღადგენს ღვთაებრივი ბუნება მაცხოვრისა, ხოლო გირილი ადამიანურ ბუნებას ავლენს.

„სადა იგი თვით ბუნებით ღმერთი მეუფებს მაღლით ღმერთქმნილთა ზედა“- სასუფეველის სახისმეტყველებაა. ქრისტე-მაცხოვარი მეუფებს („ბუნებით ღმერთი მეუფებს“) განღმრთობილ ადამიანებზე („მაღლით-ღმერთქმნილთა ზედა“). სხვაგვარად ეს სახისმეტყველება არ განიმარტება, ასეთია მისი საღვთისმეტყველო საზრისი. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ისტორიკოსთა ნაშრომებში არ არის სწორად გაგებული:

იზოთეიმად მიიჩნევენ ე. ვაბიძაშვილი რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის „შესხმის“- „ბუნებით ღმერთი მაღლით ღმერთქმნულთა შორის“ (5-75)

ჯ. ოდიშელის მოსაზრებით, ღვთის ისტორიკოსის თხზულება, ღვთის ანდერძები და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით ღვთისთვის მირთმეული „შესხმა“ იზოთეიმს (ადამიანის ღვთის-სწორობის იდეას) გამოავლენს და ორივე ძეგლის ავტორი არსენ ბერია (2-219).

ა. გოგოლაძის დასკვნით „უმაღლეს ფაზაშია აყვანილი ღვთის აღმაშენებლის პიროვნების ღვთისსწორობის იდეა არსენ ბერის თხზულებაში- „შესხმაში“: „მეფესა ღვთის მონაზონი არსენი“, სადაც ღვთის დახასიათებულია, როგორც „კაცთმოყვარე ვითარცა იესო ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მაღლით ღმერთქმნულთა შორის“. თავის მხრივ ეს სიტყვები მუსგ ანალოგიას ჰპოვებს ღვთის ისტორიკოსთან, როცა ლაპარაკია ღვთის გარდაცვალებაზე, რომ ღმერთმა მოუწოდა ღვთის „სადა თვით იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მაღლით ღმერთქმნილთა ზედა“. საერთოდ, ადამიანის ღმერთად გამოცხადება მკრეხელობაა, ისიც სასულიერო პირის არსენის მიერ, მაგრამ აქ ჩანს, თუ რაოდენ დიდ თავყვანს სცემდნენ ღვთის აღმაშენებელს“ (3-126).

ეს დასკვნა და ანალიზი მცდარია საღვთისმეტყველო სახისმეტყველების გაუთვალისწინებლობის გამო: „ბუნებით ღმერთი მეუფებს მაღლით ღმერთქმნილთა ზედა“ (მემატიანე) და „ბუნებით

ღმერთი, მადლით ღმერთქმნულთა შორის“ (არსენი) მიჩნეულია დავით აღმაშენებლის დახასიათებად. არსენის განსაზღვრაში იგი მიემართება ქრისტეს „კაცთმოყვარე ვითარცა იესო ღმერთთა შორის ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნილთა შორის“, ანუ ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებელი კაცთმოყვარეა, როგორც „იესო ღმერთთა შორის“ (არსენი გულისხმობს მაცხოვრის მოძღვრებას ყველა სხვა რელიგიურ მოძღვრებასთან შედარებით), „ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“ აღნიშნავს იესო ქრისტეს, რითაც ისევე მის მიერ („ბუნებით ღმერთის“ მიერ) „აღამიანთა მადლით-ღმერთქმნულება“ ანუ განღმრთობა, კაცთმოყვარეობა იგულისხმება. შეუძლებელია არსენ ბერს, რა დიდი თაყვანისმცემელიც უნდა ყოფილიყო მეფისა, დავით აღმაშენებელი „ბუნებით ღმერთად“ გამოეცხადებინა (ამ უხერხულობას გრძნობს ა. გოგოლაძე). იმთეობაში არასოდეს ყოფილა საქართველოში, მართლმადიდებლური სარწმუნოების წიაღში ის ვერ აღმოცენდებოდა. რაც შეეხება „ღვთისწორობას“ ეს სიტყვა პირველად თამარ მეფის „შიომღვიმი-საღმი“ სიგელში იხსენიება („დაწერილი ჭიაბერისა“), დამკვიდრდა თამარ მეფის ეპოქაში, „ვეფხისტყაოსანშიც“ დასტურდება, მაგრამ მისი მნიშვნელობაც არ გულისხმობს მეფის ღმერთობას, აღნიშნავს მეფეს როგორც ღვთის განსახიერებას ამქვეყნად, ღვთის ნების აღმსრულებლად და ამდენად „სწორად“ ღვთისა.

„ჩუენ მადლით ვართ შვილნი ღმრთისანი, ხოლო იგი ბუნებით არს ძე ღმრთისა“ („თარგმანება დავითის ფსალმუნებისა“) (4-195).

დასკვნის სახით ვიგყვი, რომ დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ეგზომ მდიდარია სახისმეტყველებით, რომელიც არ არის არც სიმბოლური აზროვნება თანამედროვე გაგებით, არც მეტაფორა – შედარებათა ერთობლიობა.

დავითის უცნობი ისტორიკოსის უძირითადესი ქარგა დავით აღმაშენებლის „ცხოვრების“ თხრობის წარმართვისათვის დავით წინასწარმეტყველის ცხოვრება და მისი „ფსალმუნია“. მემადიანე ასრულებს დავითის შთამომავალი ბაგრატიონი მეფის ცხოვრების პარალელური ბიოგრაფიის თხრობას და სახისმეტყველების უძირითადესი წყაროც ფსალმუნია. ბიბლიური ალუზიები, რემინესცენციები, შედარებები და ციგატები ერთვის თხრობას. მემადიანე იყენებს უკვე დამკვიდრებულ სახისმეტყველურ ფორმულებს, რომელთა „გახსნა“ და შეძლებისდაგვარად „წაკითხვა“ აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საუკუნეთა განმავლობაში თუკი რამ დაწერილა ან შეპირად, ხალხურ ცნობიერებაში შემორჩენილა დავით აღმაშენებელზე, ძირითადად ამომრდილია დავითის უცნობი ისტორიკოსის თხზულებიდან „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000.
2. ჯ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის. მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტიტუტის მოამბე, თბ., 1963.
3. ა. გოგოლაძე, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თსუ, 2001.
4. შატბერდის კრებული, მეცნიერება, თბ., 1979, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გუნაშვილმა
5. ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლწერა, თბილისი, 1978

Lia Tsereteli

**The Life of King David
Summary**

The author of this text describes King David's death with the belief that he has gained paradise. He uses the theological formula: "God by nature among those who are gods by blessing". The formula describes paradise. The "God by nature" is our saviour and "gods by blessing" are human beings. It does not mean that humans are idolized, but rather that they acquire divinity by means of God's blessing.